

7-04/131-17
16.02.17

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო



MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15^ა
15^ა, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/3669
14/02/2017

3669-04/07-2-201702141218



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

სამინისტროში 2017 წლის 2 თებერვალს შემოსული თქვენი განცხადების პასუხად,
გაცნობებთ შემდეგს:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს აპარატის შრომის ანაზღაურება
(თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი) შემცირდა 427 900 ლარით. ადმინისტრაციული
ხარჯები შემცირდა 339 234 ლარით.

სისპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“-ს შრომის
ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი) შემცირდა 3 586 ლარით, ხოლო
ადმინისტრაციული ხარჯები (საქონელი და მომსახურება) შემცირდა 3 000 ლარით.

სხვა ხარჯები (სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში დევნილთა ჩარიცხვის
ხელშეწყობა და ჩარიცხული სოციალურად დაუცველი დევნილების
საცხოვრებლით/ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, დევნილთა ცნობიერების ამაღლება
საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისაკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამების
შესახებ) გაიზარდა 211 071 ლარით, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდა“ გაიზარდა 10
305 ლარით.

2. სამინისტროს სისტემაში რეორგანიზაციის პროცესი წარიმართა „საჯარო სამსახურის
შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 1 დეკემბრის
#312-ვ ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის #614 დადგენილების
საფუძველზე.

3. სამინისტროს სისტემაში განხორციელებული ოპტიმიზაციის შედეგად გაუქმდა:

- მინისტრის მოადგილის 1 საშტატო ერთეული;
- მინისტრის მოადგილის თანაშემწის 1 საშტატო ერთეული;
- დევნილთა საკითხების დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და განსახლების სამმართველოს საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის მიღების განყოფილება;
- შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიული ორგანო.

გარდა ამისა, სამინისტროს ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში მოხდა რამდენიმე საშტატო ერთეულის შემცირება/გადაადგილება.

დანართის სახით გიგზავნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 1 დეკემბრის #312-კ ბრძანების ასლს.

4. რეორგანიზაციის საფუძველზე სამინისტროს სისტემიდან გათავისუფლდა 20 საჯარო მოხელე.

5. შტატების შემცირებისას გათვალისწინებულ იქნა სტრუქტურული ერთეულებისა და რიგი თანამდებობების ფუნქციური და შესრულებული სამუშაოების ანალიზი. ასევე, სამინისტროს ხელმძღვანელობამ მოისმინა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების რეკომენდაციები და განიხილა მათი მოხსენებითი ბარათები.

6. 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით სამინისტროდან გათავისუფლდა ერთი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (პირადი განაცხადების საფუძველზე).


7. 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით სამინისტროდან არ გათავისუფლებულა არცერთი საჯარო მოხელე პირადი განაცხადების საფუძველზე.

8. თანამდებობრივი სარგოს მუხლში ყოველთვიურად დაზოგილი თანხა შეადგენს 19 200 ლარს.

9. რეორგანიზაციის საფუძველზე სამინისტროდან გათავისუფლებულ პირებზე კომპენსაციის სახით გაიცა 41 000.00 ლარი.

პატივისცემით,

გოგუცა გურული



საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა
და ლტოლვილთა მინისტრი

ბრძანება №312-კ

ქ. თბილისი

„01“ 12 2016წ.

სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და ტერიტორიულ ორგანოებში
დაგეგმილი რეორგანიზაციის, თანამდებობების შესაძლო შემცირებისა
და ლიკვიდაციის შესახებ საჯარო მოსამსახურეთა გაფრთხილების
თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის
პირველი და მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და
„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის
22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების“ მე-4
მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „რ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა

სამინისტროში 2017 წლის იანვარში დაგეგმილი რეორგანიზაციისა და თანამდებობების შესაძლო შემცირების შესახებ, გაფრთხილებულ იქნენ სამინისტროს, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისა და აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეები;

2. 2017 წლის იანვარში შესაძლო ლიკვიდაციის შესახებ გაფრთხილებულ იქნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიული ორგანოს საჯარო მოსამსახურეები;

3. დაევალოს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურული ერთეულებსა და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს ერთად უზრუნველყონ სამინისტროს ყველა საჯარო მოსამსახურესთვის აღნიშნული ბრძანების გაცნობა, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს საჯარო მოსამსახურეთა ხელმოწერით.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6);

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



სოზარ სუბარი